


ნ 44/1581 px 4831/1.



ქართული  
ენების ინსტიტუტი



დიდმოწამენი  
დავით და  
კონსტანტინე

ფერისცვალების დედათა მონასტერი  
თბილისი  
1999 წ.

მერვე საუკუნეში მძიმე ეპი დეაუღა საქართველოს. სპარსეთის მმართველმა, ცრუმოციქული მუჰამედის დისწულმა, მურვან-ყრუმ საქრისტიანობე გამოილაშქრა, ააოხრა საბერძნეთი, სომხეთი, სამცხე და ოძრხეში დაიბანაკა. ამ დროისათვის არგვეთში მთავრებად ძმები - დავით და კონსტანტინე მხეიძეები იყვნენ. „მეცნიერ ძუელისა და ახალისა სჯულისა, ჭემმარიგი მორწმუნენი და გამოცდილნი და ახოვანნი წყობათა შინა და ბრძოლათა“. უფროსი დავითი იყო, უმცროსი კონსტანტინე. ისინი გარეგნულ წარმოსადგობასთან ერთად სჯულის მხნეობითა და სიმშვენიერითაც გამოირჩეოდნენ. ამიგომაც იყო უსჯულოთა მოსელა რომ შეიგყვეს, შემწეობა სთხოვეს უფალს და ლაშქარი შეკრიბეს, ერს კი გაძლიერებული ლოცვა და ღამისთევები დაუდგინეს.

უსჯულონი სამცხედან არგვეთს გამოემართნენ და თავს დაესხნენ ფერსათის მთასთან დაბანაკებულ ქართველებს. ღვთის შეწევნით ქართველებმა გაიმარჯვეს. გაბრაზებულმა მურვან-ყრუმ ურიცხვი ლაშქარი შეკრიბა და შურისძიებით ანთებული გამოემურა არგვეთისაკენ. არაბებმა მოაოხრეს ყველაფერი. გადარჩენილმა მოსახლეობამ გყვეს შეაფარა თავი. უთანასწორო ბრძოლაში გყვედ ჩაიგდეს ძმები - დავით და კონსტანტინე და მურვან-ყრუმ წარუდგინეს. უსჯულო სარდალმა დაცინვა დაუწყო შებორკილ გყვეებს.

- სულ გყუილად გგონია რომ შენი დაცინვის ღირსნი ვართ, რადგან ეს შენ კი არ დაგვამარცხე, უფალმა ისურვა ჩვენი ცოდვებისთვის თქვენი, უსჯულოთა ხელით ჩვენი სჯულის გამოწრფთა.

მათმა ასეთმა კაღნიერმა სიგყვებმა მურვანი განარისხა და წმიდათა ცემა ბრძანა. ძმები მოთმინებით ჰმადლობდნენ უფალს. მაშინ მარგვილთა გვემით დაღლილმა ჯალათებმა ძმები მიწამე დააკრეს. მაგრამ ისინი მაინც ვერ გაგებეს. მათი მხნეობით გაკვირვებულმა მურვანმა ახლა ლიქნით მოინდომა ძმების მოღრეკა და ჯერ დავითს მიმართა:

- მსმენია შენი ვაჟკაცობის ამბავი და სულაც არ მინდა შენი მოკვლა. გირჩევ, დაემორჩილო მუჰამედის სჯულს, თუ გინდა სიცოცხლე შეგინარჩუნდეს.

სასყილად კი პაგივსა და სპასალარის წოდებას დაჰპირდა. წმიდა დავითმა პირჯვარი გადაისახა და უპასუხა:

- რატომ გგონია ნათელს რომ დავუტყვევებთ და ბნელს შევუღებთ?! ღმერთმა თავისი ძის მოვლინებით განგვანათლა. მან თავს იდო ჯვარცმა, დაფლვა, აღდგომა და ამალღება; კვლავ მოვალს განსჯად ცხოველთა და მკუღართა. სწორედ მაცხოვარმა წარავლინა მოწაფენი საქადაგებლად. მათგან ორმა ჩვენთან იქადაგა და მოგვაქცია კერპთა მსახურებისაგან. შენ კი ახლა გინდა თქვენს სჯულს დავემონოთ?! გყუილად ცდილობთ ამას. ჩვენ მზადა ვართ ქრისტესთვის ყოველგვარი გვემა და განჯვა დავითმინოთ.

ამ სიგყვების შემდეგ მოჰყვა ყურანისა და აგარიანთა სჯულის მხილებას:

- მუჰამედმა კი მოგაქციათ ცეცხლის მსახურებისაგან, მაგრამ ღმერთი ვერ შეგამეცნებინათ, ამიგომ თქვენ ახლა ჰგავხართ იმათ, რომელნიც ნავით შუა ზღვას კი გამოეცალნენ, მაგრამ ნაპირს ვერ მოაღწიეს და წყალში დაინთქნენ.

ამ პასუხით განრისხებული მურვანი ახლა კონსტანტინეს მიუბრუნდა და მისი

გაღაბირება სცადა, მაგრამ კონსტანტინემაც უშიშრად აღიარა სამება:

- ჩემ ძმასავით მეცა მწამს უფალი. ჩვენ ერთი სჯულისანი ვართ. მეცა მწამს მამა, ძე და სული წმიდა და მისთვის მოგვცემს კალეს.

მაშინ მურვანმა ბრძანა შიშნით და წყურვილით მოეუძღურებინათ ძმები. ათი ღლის „მრავალფერი განჯვის“ შემდგომ მან მოგვნი და მისანნი წარავლინა არგვეთის მთავრებთან მოსაქცევად, მაგრამ ისინიც ვერაფერს გახდნენ.

მაშინ ქრისტიანები სიკვდილით დასაჯეს ძმების - წმიდა კომმანისა და დამიანეს ტაძრის მახლობლად, მდინარის პირას გაიყვანეს, სასტიკად გვემეს, მერე ხელ-ფეხი შეუკრეს, ქედმე ლოდები გამოაბეს და მდინარეში გადაყარეს.

სიკვდილის წინ ძმებმა შესთხოვეს უფალს:

- განუბრწუნელად დაგოვე ჩვენი გვამები და მიანიჭე მათ კურნების მაღლი, რათა კვლავ შევძლოთ ვადიდოთ შენი სახელი ადამიანთა უძღურებისა და სენთა კურნებით.

როცა წმინდანები წყალში გადაყარეს, გეცით გაისმა ხმა, რომელმაც განუცხადა იქ მყოფთ, რომ ძმების თხოვნა შეწყალებული იქნებოდა. ამ ხმამ ძალმედ შეაშინა მგარვალეები და გააქცია.

ღამით გეციდან სამი ნათელი სვეგი ჩამოემუვა და წყალს თავს დაადგა. უჩვეულო შუქმა გაანათა იქაურობა. მოწამეებს საკვრულნი შეეხსნათ, ლოდები დასცვივდათ და მათი სხეულები წყალზე ამოგივგივდა. მაშინ მათი ცხედრები ნაპირზე გამოსავენეს. კვლავ მოისმა ხმა გეციდან:

- აღმოსაველეთისკენ წაიყვანეთ და იქ დაკრძალეთ.

ასეც მოიქცნენ. ძმები წყალწითელას ნაპირზე მღებარე მურვან-ყრუმ მიერ

დანგრეულ ეკლესიაში დაკრძალეს. შემდგომში, დიდი ხელმწიფის ბაგრაგის მეფობისას, ამ ადგილზე აშენდა მონასტერი, სადაც ჰპოვეს განსასვენებელი წმიდათა უბრწუნელმა ნაწილებმა. მათ ღვთისგან მათი ვედრებისაებრ, მიიღეს კურნების ძალა და დღესაც სულიერი და ხორციელი ტკივილებისაგან აღადგენენ მორწმუნეებს. ჩვენი ეკლესია ძმების - დავით და კონსტანტინეს ხსენების დღეს 2 (ახ. სგ.15) ოქტომბერს აღნიშნავს და ასე უგალობს მათ:

## გროპარი

მოწამეთა შერთა უფალო ღვაწლსა შინა თვისსა გვირგვინი მოიგეს უბრწუნელებისა, შენ მიერ ღმრთისა ჩვენისა, რამეთუ აქუნდა მათ შენ მიერი ძალი და მძლავრი დაამხვეს, და შემუსრეს კერპთა იგი უძლური ძალი, მათითა მეოხებითა ქრისტე ღმერთო აცხოვნენ სულნი ჩვენნი.

## კონდაკი

ვარდნო შვენიერნო, ბეცისა მგილისანო, რომელნი ფშვით სუნნელებასა ყოველთა კიდეთა, და კურნებასა აღმოუდინებთ სურვილით მედღესასწაულეთა თქვენთა, დავით უძლეველობითა გვირგვინოსანო, და კონსტანტინე ჭურო სიმხნისაო, მაქებელთა თქვენთა სამღელვარენი განსაცდლენი თანაწარხადენით, და ოხითა თქვენითა მოძადლეთ მშვიდობაი.